შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.989)

21 - 28 აგვისტო 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ინფიცირებულების ნაწილი ქუჩაშიც დადის, მაღაზიაშიც და... სტუმრადაც

როცა პირველად გერმანულად ვნახე სიზმარი...

რა ელის მთიან რეგიონებს საპენსიო პროგრამის ბანკებზე გადანაწილების შემთხვევაში?

სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

18 აგვისტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დედოფლისწყაროს სტუმროდა. ირაკლი ქარსელაძე, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ირაკლი შიოშვილთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან – დავით სონღულაშვილთან და მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ქვეყნის 63 მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს.

„დღეს დავათვალიერეთ კახეთის 5 მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოები, სადაც მთელ რიგ მონაკვეთებზე უკვე დასრულებულია ლესვითი, თბოიზოლაციის, ენერგოეფექტურობის კომპონენტები. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს რეკრეაციული სივრცეების და საირიგაციო სისტემების მოწყობა, წესრიგდება სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურული ელემენტები, დაწყებულია შესაბამისი საფეხმავლო და საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებები“,- განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ კახეთში პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას.

პროგრამის ფარგლებში, დაწყებულია ურბანული განახლება, კერძოდ, დედოფლისწყაროში ცენტრის და რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია.

საქართველოს პარლამენტის წევრის დავით სონღულაშვილის თქმით, ეკონომიკა ქვეყანაში აქტიურად ვითარდება, მიუხედავად პანდემიისა, რაც აისახება რეგიონებზეც.

“4-წლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა, ხოლო სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოები ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებით შეირჩა. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები”.

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 2 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

იუსტიციის სახლმა კოვიდბარათების გაცემა დაიწყო

იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში დღეიდან კოვიდბარათები უფასოდ გაიცემა.

ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე და ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე დოკუმენტის გაცემის პროცესს ერთობლივად დააკვირდნენ. ამასთანავე, მინისტრებმა თბილისის იუსტიციის სახლში ახლად დანერგილი სერვისით თავადაც ისარგებლეს და კოვიდბარათები აიღეს.

დოკუმენტის მიღება საქართველოს მასშტაბით უკლებლივ ყველა ფილიალშია შესაძლებელი. მასზე, პირისთვის ჩატარებული სრული ან ნაწილობრივი ვაქცინაციისა და ბოლო PCR კვლევის შესახებ ინფორმაცია, ასევე, აცრის უნიკალური ცღ კოდი და პირადი მონაცემებია დატანილი და იუსტიციის სახლის შტამპითაა დამოწმებული. ამ დრომდე კოვიდბარათი მხოლოდ ვაქცინაციის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებებში გაიცემოდა.

კოვიდბარათზე განცხადების წარდგენა უფასოა. დოკუმენტი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე განცხადების წარდგენისთანავე გაიცემა; მომსახურების მიღება კი, ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის გარეშეა შესაძლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს კოვიდბარათი საქართველოს ფარგლებს გარეთ წარსადგენად აპოსტილით/ლეგალიზაციით დამოწმებული ესაჭიროება, მათ აღნიშნული სერვისის მიღება ადგილზე, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში შეეძლება.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ დააანონსა, რომ მოქალაქეები, რომლებიც სრულად ვაქცინირებულნი არიან, იუსტიციის სამინისტროს სერვისებზე შეღავათებით ისარგებლებენ.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კოვიდბარათი აქტიურად იქნება გამოყენებული უცხოეთში. ევროკავშირთან სახელმწიფო უკვე მუშაობს, რომ ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ბაზაში უახლოეს პერიოდში აისახოს, რაც მოქალაქეებს გაუმარტივებს მოგზაურობას, როგორც ბიზნესის, ისე ტურისტული კუთხით.

ინფიცირებულების ნაწილი ქუჩაშიც დადის, მაღაზიაშიც და... სტუმრადაც

დედოფლისწყაროში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მძიმეა. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, გოლო ერთი კვირის განმავლობაში კორონავირუსის 203 ახალი დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა. მდგომარეობიდან გამომდინარე, დედოფლისწყაროს კოვიდ კლინიკას დაემატა საწოლები და ამჟამად აქ 35 პაციენტი მკურნალობს.

ასეთი მძიმე ეპიდემიოლოგიური სურათის მიუხედავად, გევრი კოვიდ ინფიცირებული არღვევს იზოლაციის წესებს და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს არ ერიდება.

„კორონავირუსით ინფიცირებულთა ნაწილი, ვინც სახლში მკურნალობს, ხშირად არღვევს კარანტინის წესებს - შეუზღუდავად დადის ქუჩაში, მაღაზიაში და ზოგჯერ სტუმრადაც. ამის შესახებ საუბრობენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები. მსგავსი ფაქტების შესახებ სოციალური ქსელებითაც ვრცელდება ინფორმაცია. რა შედეგები მოყვება მსგავსი ფაქტების გაგრძელებას და რა ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო ამგვარი ქმედებების თავიდან ასაცილებლად?"

„ნუ დადიხართ კოვიდ დადებითები გარეთ და ნუ უქმნით საფრთხეს გარშემომყოფების ჯანმრთელობას! ყველას სახელი და გვარი ვიცი, ვინც ხართ კოვიდ დადებითები და ნუ მიმიყვანთ იმ ზომამდე, რომ შესაბამისი უწყებები ჩავაყენო საქმის კურსში და კანონის სრული სიმკაცრით გაგებინოთ პასუხი! დაიცავით იზოლაციაკარანტინის წესები!" - ვკითხულობთ "ფეისბუქში" ერთ-ერთი მომხმარებლის გამოქვეყნებულ პოსტში. მისივე ინფორმაციით, დღის განმავლობაში 20-30 კოვიდ დადებითის მიერ ხდება მინიმუმ 5-ჯერ მეტი კონტაქტი. ისინი გადაადგილდებიან სამსახურებში, მაღაზიებში, აფთიაქში და ამ დროს არ უკეთიათ პირბადე არც მომხმარებლებს და არც თანამშრომლებს. აღნიშნულ ფაქტს აღმაშფოთებელსა და გაუგონარ უპასუხისმგებლობას უწოდებს ინფექციონისტი მარინა ენდელაძე. მისი თქმით, ეს მდგომარეობა მთლიანად ხალხის შეგნებაზეა დამოკიდებული და ქვეყანა ვერ შეძლებს ბინაზე მყოფი პაციენტების გაკონტროლებას, რადგან ისინი ბევრნი არიან და ყველას თვალთვალი ფაქტიურად შეუძლებელია".

„ამ სიტუაციის გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია, ბინაზე ძალიან ბევრია დატოვებული სამკურნალოდ. კარებზე პოლიციას ხომ ვერ დავაყენებთ, რომ არ გავიდნენ?! ეს არის ადამიანის თვითშეგნებაზე დამოკიდებული. ამგვარი ქმედებები გამოიწვევს ვირუსის მეტ გავრცელებას, რადგან გადამდებლობა მაღალი აქვს ამ ვირუსს. ეს არის ადამიანთა პასუხისმგებლობა და აუცილებელია, რომ თავად მოსახლეობაც ყურადღებით იყოს. თუკი ვინმეს მსგავს შემთხვევაზე ექნება ინფორმაცია, უნდა აუწყოს შესაბამის ორგანიზაციებს და დადგინდეს უმაღლესი ჯარიმის ფორმა დასჯის თვალსაზრისით. ეს პაციენტები აღრიცხვაზე არიან, მაგრამ თითოეულ კართან რა ხდება, ამას ვერავინ გააკონტროლებს. ამიტომ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს თვითშეგნება და პასუხისმგებლობის გრძნობა", - განაცხადა ენდელაძემ, რომლის თქმით, მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად ჯარიმების შემოღებაა საჭირო".

„ასეთმა მოწანწალე კოვიდ დადებითმა დამიღუპა ოჯახი და ახლა ჩემს შვილებს აღარ ჰყავთ მამა. ვიღაცას რომ ჰგონია, თავად უძლებს და მართავს თავის დაავადებას, ჩემი მეუღლე შეიწირა მსგავსმა დაუდევრობამ. მეც ვუჩივლებ ვისზეც გავიგებ, რომ გარეთ დადის", - ნათქვამია კომენტარში. ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე ჯერ კიდევ 10 აგვისტოს საუბრობდა ამ პრობლემაზე. იგი აცხადებდა, რომ კორონავირუსით ინფიცირებული პირების ნაწილი საქალაქო ტრანსპორტითაც სარგებლობდა, რომელიც მაშინ შეზღუდული ჯერ კიდევ არ იყო. „მაქვს ინფორმაცია, რომ ბინაზე დარჩენილი დაახლოებით 35 000 ავადმყოფიდან ნაწილი არ იცავს თვითიზოლაციას, დადის ქუჩაში და მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით", - ამბობდა ცერცვაძე, რომლის თქმით, ეს იყო ძალიან სერიოზული დარღვევა და ამავე დროს, სერიოზული ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ასეთი შემთხვევების ძალიან მაღალი რიცხვის შენარჩუნებას".

„კატეგორიულად ვთხოვ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც კოვიდინფიცირებულია და ასევე, ჯანდაცვის სისტემას, თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას, არ ვიცი, კიდევ ვის ხელეწიფება გააკონტროლოს ადამიანები, რომელთაც აქვთ კოვიდის მსუბუქი ფორმა, რომ 12 დღის მანძილზე დაიცვან თვითიზოლაცია, არავითარ შემთხვევაში არ დატოვონ სახლი, არ გამოვიდნენ ქუჩაში, არ იარონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ისინი სტუმრადაც კი მიდიან და საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას", - აღნიშნავს ცერცვაძე, რომლის განმარტებით, "თუკი ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი არ აღმოიფხვრა, პირბადეების ტარება რომც კარგად გავაკონტროლოთ, მაინც გაგვიჭირდება ახალი შემთხვევების კონტროლი.

გახშირებული მიწისძვრები - მომატებული რისკი თუ კანონზომიერება?

გასულ კვირას საქართველოში რამდენიმე მიწისძვრა დაფიქსირდა. 16 აგვისტოს, დილით, 7 წუთის ინტერვალით ორი მიწისძვრა მოხდა დმანისიდან სამხრეთ-დასავლეთით 24 კილომეტრში, სოფელ სამებასთან. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, თბილისის დროით 05:44 საათზე დააფიქსირეს 5.1, ხოლო 05:51 საათზე 3.2 მაგნიტუდის მიწისძვრები. სოფელ სამებასთან 4.1 მაგნიტუდის მიწისძვრა იყო 03:19 საათზეც. ამავე რაიონში 3.7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა შუაღამემდეც, თბილისის დროით 23:42 საათზე. აგვისტოს დასაწყისიდან სოფელ სამებასთან უკვე 13 მიწისძვრა მოხდა, ბოლო ორ თვეში კი 30-ზე მეტი. მათგან ყველაზე ძლიერი 5.1 მაგნიტუდის, 16 აგვისტოს დილის იყო.

ივლისის დასაწყისში, რადიო თავისუფლებას დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრში განუცხადეს, რომ ერთი და იგივე ადგილას დაფიქსირებული მიწისქვეშა ბიძგები „რაიმე განსაკუთრებულის მიმანიშნებელი არ არის".

გეოლოგის, არჩილ მაღალაშვილის განცხადებით, სოფელ სამებასთან გახშირებული მიწისძვრის გამო პანიკის საფუძველი არ არსებობს. მაღალაშვილი „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ბიძგების კონკრეტულ მიზეზს ვერ ასახელებს, თუმცა აცხადებს, რომ მიწისძვრები ძირითადად ე.წ. ტექტონიკური მოძრაობებით აიხსნება. ამასთან, გეოლოგი არ გამორიცხავს, რომ ბიძგები კვლავ განმეორდეს. „რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ ძირითადად ეს არის ტექტონიკა. ესაა უფრო ე.წ. ტექტონიკური მოძრაობით გამოწვეული ბიძგები. შესაძლებელია კიდევ ველოდოთ ბიძგებს. კავკასია არის სეისმური რეგიონი, სადაც მიწისძვრები ხშირადაა. მე აქ საპანიკოს ვერაფერს ვხედავ, პირიქით - ხანდახან ასეთი მიწისძვრები იმას ნიშნავს, რომ უფრო დიდ მიწისძვრას გადავრჩეთ. ბიძგების გაძლიერების პროგნოზი შეუძლებელია. ამას ვერავინ იტყვის. იმისთვის, რომ რაიმე პროგნოზი გაკეთდეს, რთული და ძვირი კვლევებია ჩასატარებელი. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ რეგიონების მიხედვით, სად არის უფრო სახიფათო ზონა მიწისძვრის თვალსაზრისით. ზოგადად, კავკასიონის ზონა სეისმურად აქტიურია. აქ არის ახალგაზრდა მთათა სისტემა, რომელიც იზრდება. ამ ზრდასა და მოძრაობებს კი ყოველთვის უკავშირდება სეისმური აქტივობები. ყველაფერს შეგნებულად უნდა მივუდგეთ, ვიცოდეთ და გავატაროთ შესაბამისი სამშენებლო, ინფრატრუქტურული თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები"- განაცხადა მაღალაშვილმა.



აღნიშნულ საკითხზე სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს, თეა გოდოლაძეს „ნეტგაზეთიც" დაუკავშირდა და გააქტიურებული სეისმური მოვლენების მიზეზებზე ჰკითხა. გოდოლაძე აცხადებს, რომ ზოგადად ჯავახეთის ქედი სეისმურად ყველაზე აქტიური რეგიონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მეტი პატარა მიწისძვრა სწორედ ჯავახეთში ხდება. მისი თქმით, გასული თვისა და 8 დღის განმავლობაში ჯავახეთის ქედზე 1 115 პატარა მიწისძვრა მოხდა. მისი თქმით, ეს ექსპერტებისთვის გასაკვირი არ არის, ვინაიდან ჯავახეთი, გარდა ტექტონიკური აქტივობებისა, პოსტვულკანური აქტივობებითაც ხასიათდება, რაც მიწისძვრებში გამოიხატება, და გამომდინარე იქიდან, რომ ჯავახეთის ქედი ვულკანური წარმოშობისაა, სეისმური მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ ამჯერადაც სეისმური აქტივობების სერია მაგმური პროცესებითაა გამოწვეული: „რომ ნახოთ მიმდინარე აქტივობის რუკა, შეამჩნევთ, რომ ძირითადი სეისმურობა არის რაჭაში, კახეთსა და ჯავახეთში. ჯავახეთი სეისმურად ყველაზე აქტიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე ბევრი პატარა მიწისძვრა ხდება ჯავახეთში. ამიტომ ეს ჩვენთვის გასაკვირი პროცესი ნამდვილად არ არის. გარდა იმისა, რომ ტექტონიკური აქტივობა იყო ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი, ასევე, პოტსვულკანურიც აქტივობაც შესამჩნევია, რაც სეისმურად მიწისძვრებით გამოიხატება, ამ შემთვევაში ჯავახეთის ქედზე. ჩვენ ასე გვგონია, რომ ვულკანური პროცესია, ამას კვლევა და დამტკიცება სჭირდება, რაც კომპლექსური პროცესია. 3-მაგნიტუდიანი 1 115 მიწისძვრაა მომხდარი თვესა და 8 დღეში მხოლოდ ჯავახეთის ქედზე, რაც ძალიან დიდი რაოდენობაა", — ამბობს თეა გოდოლაძე.

სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ჯავახეთში ჩამქრალი ვულკანებია, თუმცა რეგიონისთვის პოსტვულკანური მაგმური აქტივობა მაინცაა დამახასიათებელი: „მაგმა რომ მოძრაობს, ის იწვევს მიწისძვრებს", — ამბობს გოდოლაძე. მისი თქმით, ამჟამად რეგიონზე მონიტორინგი მიმდინარეობს და აცხადებს, რომ ეს სპეციალისტებისთვის უფრო საინტერესო პროცესია, ვიდრე მოსახლეობისთვის და განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმოლოგი მანანა ძმანაშვილი დადებითად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ენერგიის გამოთავისუფლება პატარა, არადამანგრეველი ბიძგების სახით ხდება: „ჩვენ ვერანაირ სცენარს წინასწარ ვერ დავდებთ, მთელი ზაფხულის პერიოდი მიდის საკმაოდ აქტიურად 3-4 მაგნიტუდამდე მიწისძვრების სახით, თუმცა უფრო პატარა ბიძგებიც საკმაოდ ხშირია, რასაც მხოლოდ ხელსაწყო აფიქსირებს. გუშინდელი მიწისძვრა საკმაოდ დიდი იყო 5.1 მაგნიტუდის, თბილისშიც კარგად შეიგრძნო მოსახლეობამ. კარგიც არის რომ პატარა ბიძგების სახით ხდება ენერგიის გამოთავისუფლება. ზოგადად, ჯერ დიდი მიწისძვრა ხდება ხოლმე, და მას შემდეგ მოსდევს მცირე კლასის მიწისძვრების კასკადი. მაგრამ ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ სეისმოლოგიაში, რაიმე მტკიცე ვარაუდის გამოთქმა არ ხდება, რადგან არ იძლევა ეს დარგი ამის საშუალებას. რა მოხდება სამომავლოდ არავინ იცის და ვერავინ გათვლის ამას. საბოლოოდ რომ ვთქვათ, გახშირებული მიწისძვრები კანონზომიერების ფარგლებშია და რაიმე ცუდ სცენარზე არ მიუთითებს." - აღნიშნა მანანა ძმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მიწისძვრა არის მიწის მოულოდნელი, სწრაფი ბიძგები, რომლებიც გამოწვეულია მიწისქვეშა ენერგიის უცაბედი გამოთავისუფლებით. მიწისძვრა ბუნების ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მოვლენაა. მსხვერპლის რაოდენობითა და დამანგრეველი მოქმედებით იგი აღემატება ყველა სხვა ბუნებრივ კატასტროფას. დღესაც კი ადამიანი უძლურია ამ სტიქიის წინაშე, რომელიც იწვევს დიდ მსხვერპლს, ნგრევასა და ზარალს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

,,ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატი წარადგინა

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მერობის კანდიდატი დედოფლისწყაროში წარადგინა. წარდგენის ცერემონია მირზაანში, ნიკო ფიროსმანის მშობლიურ გარემოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. როგორც გაზეთი „შირაქი“ წინა ნომრებში წერდა,

მმართველმა პარტიამ არჩევანი კვლავ მოქმედ მერზე, ნიკოლოზ ჯანიაშვილზე გააკეთა. “დედოფლისწყაროში ჩვენ გვაქვს საკმაოდ ამბიციური გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი გზა დავაგეთ, ყველა უბანში შევედით და მასშტაბური სამუშაოები განვახორციელეთ, ისეთი, რაც წლების განმავლობაში არ ყოფილა ჩატარებული - ყველა სოფელში დავაგეთ გზებიც, ბუნებრივი აირი შევიყვანეთ ბევრ სოფელში, იქ, სადაც ის არასოდეს არ ყოფილა. მაგალითისთვის, რამდენიმე საათი უწევდა მოქალაქეს, რომ ჩასულიყო ქვემო ქედში. ახლა ეს სულ რაღაც 20 წუთშია შესაძლებელი. ჩვენი მიზანია, მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს ყველა ქალაქში, მუნიციპალიტეტსა და სოფელში.

ჩვენ გვყავს ღირსეული მერობის კანდიდატი, ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. კაცი, რომელმაც ძალიან კარგად იცის ჩვენი მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევები, პრობლემები. სწორედ ასეთი უნდა იყოს მერი, კაცი, რომელიც ჩადის ყველა სოფელში, უბანში, მიდის და თავად ესაუბრება, ისმენს და ადგილზე წყვეტს მათ წინაშე არსებულ პრობლემებს და გამოწვევებს“ - განაცხადა მერობის კანდიდატის წარდგენისას ირაკლი ღარიბაშვილმა.

„დედოფლისწყარო მარცვლოვანი კულტურების გამორჩეული და მე ვიტყოდი, ბეღელია მთელი საქართველოსთვის.

ხაზგასმით აღვნიშნავდი, ჩემთვის ძალიან ძვირფას ვაშლოვანის ნაკრძალს, რომელიც არა მხოლოდ საქართველოსთვის, მთელი მსოფლიოსთვის გამორჩეულია თავისი ბიომრავალფეროვნებით და ცხოველების და ფრინველების იმ უნიკალური ჯიშებით, რომლებიც აქ ბინადრობენ. წარმოუდგენლად დიდია ინტერესი ტურისტების მხრიდან და ვისურვებდი, რომ საქართველოში ყველა ბავშვმა და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა შეძლონ ამ უნიკალური სილამაზის ნახვა, რომელიც ჩვენი დიდი სიმდიდრეა.

ქვეყნის განვითარებისთვის მთავარია ძლიერი თვითმმართველობა, ძლიერი მერი და საკრებულოს გუნდი, რომელიც ყველა დაწყებულ პროექტს ბოლომდე მიიყვანს. მერობის კანდიდატმა უკვე არაერთი შედეგი დადო და მჯერა, კიდევ არაერთ წარმატებას მოუტანს მუნიციპალიტეტს” - თქვა პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავამ.

მერობის კანდიდატის წარდგენამდე პრემიერ-მინისტრი ზემო მაჩხაანის ახალ, თანამედროვე სტანდარტების სკოლას ესტუმრა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ერთად დაათვალიერა.

„ერთი საინტერესო ამბავიც მინდა გითხრათ უნივერსიტეტთან დაკავშირებული, რაც დედოფლისწყაროელებს გაგიხარდებათ. როგორც იცით, თამასა უნივერსიტეტში მიღების არის ძალიან მაღალი, ყველაზე მაღალი საქართველოს უნივერსიტეტებს შორის. როგორც იცით, ეროვნული გამოცდები უკვე დასრულდა, ახლა მიმდინარეობს შედეგების შეჯამება. არის იმის ალბათობა, რომ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მოსწავლე სექტემბერში გახდეს ქუთაისის საერთშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი. ვგულშემატკივრობთ ყველანი მას და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში მრავალი ძალიან ნიჭიერი, სწავლასმოწყურებული დედოფლისწყაროელი სწავლას გააგრძელებს ამ ჭეშმარიტად ევროპულ უნივერსიტეტში- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, იმისათვის, რომ ჩვენი გეგმები განხორციელდეს, იმისთვის, რომ ჩვენ მივიღოთ ჭეშმარიტად განათლებული თაობა, აუცილებელია, რომ ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვოს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს აუცილებლად ასე მოხდება“. - განაცხადა განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

„როდესაც ვსაუბრობთ დედოფლისწყაროზე, რა თქმა უნდა, წარმოგვიდგენია, რომ ეს არის საქართველოს ბეღელი. საქართველოს პურის წარმოების დიდი ნაწილი ზუსტად მოდის დედოფლისწყაროზე. დედოფლისწყარო არის უდიდესი პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობის კუთხით იმიტომ, რომ სწორედ დედოფლისწყაროში გვაქვს ჩვენ ის ნოყიერი ნიადაგები, რომელიც ასე დეფიციტურია საქართველოში, მცირემიწიან ქვეყანაში. სადმე თუ შეიძლება კომერციულად წარმატებული სოფლის მეურნეობა განვითარდეს, ეს განვითარდება დედოფლისწყაროში. განვითარდება იმ შემთხვევაში, თუ გვექნება მჭიდრო თანამშრომლობა თქვენთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

მინდა ვთქვა, რომ ბატონი ნიკო იყო გამორჩეული მერი მთელი ამ წლების განმავლობაში, ჩვენ გვქონდა მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობა, საკითხებზე მსჯელობა და ბევრი საკითხი დადებითად გადავწყვიტეთ ზუსტად მერის აქტიურობის შედეგად. თუმცა, გამოწვევები ბევრია, მაგრამ ამ გამოწვევებისთვის ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმები იმისთვის, რომ თქვენ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და წარმატებულები იყოთ თქვენს სასოფლო-სამურნეო საქმიანობაში. - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

„დედოფლისწყაროელისთვის უმთავრეს პრობლემას-წყალმომარაგების პრობლემას გადავჭრით, და სწორედ „ქართული ოცნების“ და პიროვნულად ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის უდიდესი დამსახურება არის, რომ მრავალი ათეული მილიონი ლარი, 60 მილიონ ლარამდე გამოიყო, ტენდერიც შედგა, კომპანიებიც გამოვლინდნენ, პროექტებიც გაკეთდა და უკვე სამუშაოებიც ნელა-ნელა აქტიურად ინყება. სწორედ ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას და ოპტიმიზმს, რომ, დიახ ბატონებო, ჩვენ აუცილებლად სოფელ ზემო მაჩხაანში უწყვეტი წყალმომარაგება გვექნება, დიახ ჩემო საყვარელო ხალხო, ჩვენ აუცილებლად მდინარე იორიდან- დალის წყალსაცავიდან წყალს ამოვიყვანთ, ქალაქ დედოფლისწყაროში და მიმდებარე სოფლებში და მუდმივად იქნება ჩვენს ონკანებში წყალი და, დიახაც, ალაზნის-პირა სოფლებში, სადაც არასდროს ყოფილა წყალი აუცილებლად 24 საათიანი წყალმომარაგება გვექნება. არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონი ირაკლის ჩამობრძანება მშობლიურ მუნიციპალიტეტში და ის დაპირება, რომელიც გასცა და რომელმაც ყველა აღაფრთოვანა. დიახ, ბატონი ირაკლის დაპირებისამებრ მომავალ წელს აუცილებლად აშენდება ჩვენი საამაყო შვილის, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ბექაურის სახელობის საჭიდაო დარბაზი“ -განაცხადა დედოფლისწყაროს მერობის კანდიდატმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და იმ გუნდის წევრობის კანდიდატებიც წარუდგინა საზოგადოებას, ვისთან ერთადაც გეგმავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საკუთარი დაპირებების რეალიზებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არიან:

გოჩა სამუკაშვილი– ***ქ. დედოფლისწყარო;***

ივანე ნატროშვილი– ***ზემო მაჩხაანი და მირზაანი;***

არსენ ბალაშვილი– ***არბოშიკი და ოზაანი;***

გივი გიგაური-***გამარჯვება;***

გიორგი გოგილაშვილი–***ხორნაბუჯი;***

სიმონ ყოჩიაშვილი- ***სამრეკლო;***

ნიკოლოზ ხუციშვილი- ***ზემო ქედი;***

სიმონ წიკლაური-***არხილოსკალო;***

ავთანდილ ხუმარაშვილი- ***ქვემო ქედი;***

ავთანდილ შაინიძე- ***სამთაწყარო, ფიროსმანი და საბათლო.***

“ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ცნობილია

არჩევნებამდე 48 დღით ადრე “ნაციონალურმა მოძრაობამ” ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატები წარადგინა. დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი თამაზ კოჭლამაზაშვილი იქნება.

კანდიდატები ამომრჩეველს თბილისის მერობის კანდიდატმა “ნაციონალური მოძრაობიდან” ნიკა მელიამ წარუდგინა.

ხატია დეკანოიძე - ქუთაისი, ზაალ უდუმაშვილი - მცხეთა, დავით კირკიტაძე - რუსთავი, გიორგი ბოტკოველი - თელავი, თემურ ჯანაშია - მარტვილი, გიორგი კირთაძე - ბათუმი, ბონდო თევდორაძე - ქობულეთი, მიშა ღონღაძე - ხელვაჩაური, რამინ ბერიძე - ქედა, როინ ზოიძე - შუახევი, გოგიტა სოლომონიძე - ხულო, ბადრი დემურიშვილი - ვანი, ბაქარ ხინჯაკაძე - ზესტაფონი, მარეხი დათაშვილი - ადიგენი, გიორგი გიორგაძე - ასპინძა, დავით ჯავახიშვილი - საგარეჯო, ზურაბ ოტიაშვილი - ახმეტა, სერგი კაკალაშვილი - გურჯაანი, თამაზ კოჭლამაზაშვილი - დედოფლისწყარო, ზაზა პაპუაშვილი - სიღნაღი, გიორგი ტატუაშვილი - დმანისი, ვანო მაღალაშვილი - თეთრიწყარო, ვასილ მახარაშვილი - გორი, იოსებ ბუაძე - ხაშური, ბესო შენგელია - ხობი, ნუგზარ ნონიაშვილი - კასპი, ნიკოლოზ ახალკაცი - ქარელი, ანზორ მელია - ზუგდიდი.

ნიკა მელიამ კანდიდატების წარდგენის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს 2 ოქტომბრის არჩევნებსა და მისი მნიშვნელობის შესახებაც ისაუბრა.

“2 ოქტომბრის რეფერენდუმზე წყდება, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი სამშობლოს მომავლის განმსაზღვრელი საკითხი. დაკარგავს თუ არა საბოლოოდ, ქვეყნის დამაქცევარი, კორუმპირებული და უკვე ღიად პრორუსულ ძალებზე დაყრდნობილი “ქართული ოცნება” სრულად ლეგიტიმაციას. ეს რეფერენდუმი ტარდება 2 ოქტომბერს და სწორედ ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ, ჩვენ ოღონდ არა პოლიტიკოსებმა, არამედ ქართველმა ხალხმა. მჯერა, როგორც არასოდეს, რომ “ოცნების” მარცხი ამ რეფერენდუმით გაფორმდება, უფრო მეტიც, ევროკავშირთან შეთანხმებიდან გასვლით, “ქართულმა ოცნებამ” რეფერენდუმში მარცხი წინასწარ უკვე აღიარა,“ - განაცხადა ნიკა მელიამ.

გვერდის მასალები მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

როცა პირველად გერმანულად ვნახე სიზმარი...

გუშინდელ დღესავით მახსოვს და ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე, როდესაც ხანგძლივი, კომუნისტური იდეებით, გეგმებით, და პერსპექტივებით სავსე თათბირიდან გასავათებული გამოვედი და სულის მოსათქმელად ჩემს სამუშაო ოთახს მივაშურე. იქ კი, ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით, ერთი ციცქნა გოგონა დამხვდა მამასთან ერთად.საგაზეთოდ გამზადებული წერილი, რომელიც მისი კლასის სასკოლო ღონიძიებას ეხებოდა, მაგიდაზე იდო. იდგა 1999 წლის გაზაფხული. ეს, სასკოლო ფორმის კაბაში, თეთრ წინსაფარსა და მკერდზე გადაფენილ პიონერულ ყელსახვევში გამოწყობილი გოგონა, ქვემო ქედის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე მაია ნაკვეთაური გახლდათ. ასე გავიცანით ერთმანეთი, ასე გახდა ის გაზეთ „ შირაქის „ ნორჩი კორესპონდენტი და აქედან დაიწყო სწორედ მისი შემოქმედებითი გზა. უფრო ხშირად ჩანახატებს და თავისუფალ თემებს გვაწვდიდა. იქიდანვე ეტყობოდა გახსნილი გონება და მიზანსწრაფულობა. მშობლებიც ხელს უწყობდნენ. მამამისი ვალიკო ნაკვეთაური, კოლმეურნეობაში სხვადასხვა დარგს უძღვებოდა და სოფელში მაღალი ავტორიტეთით სარგებლობდა. მისი მეუღლეც, ვენერა ხუმარაშვილი ქვემოქედელი იყო. სიყვარულით შექმნილი ოჯახი რვა წელი ელოდა შვილის დაბადებას. რვა წლისთავზე მაია დაიბადა, ოცნება ასრულდა და ოჯახს მეტი ხალისი და სიხარული შეემატა.მაიას შემდეგ კიდევ ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი შეეძინათ. შვილებზე ზრუნვაში უთენდებოდათ და უღამდებოდათ, ბედნიერები იყვნენ. დრო მიდიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ, კარგად სწავლობდნენ.მაიამ პროფესიაზე არჩევანი გააკეთა– ჟურნალისტის არცთუ იოლი გზა აიჩია. საუკეთესო აკადემიურ მოსწრებასთან ერთად აქტიური იყო სასკოლო ცხოვრებაშიც. გამორჩეული მიდრეკილება ჰქონდა პოეზიისა და დეკლამაციისკენ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორის ცარო მარტიაშვილის ხელმძღვანელობით მოემზადა და მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაში და მხატვრულ კითხვაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მერე ორწლიანი მასტერკლასი თბილისის პიონერთა სასახლეში გაიარა ცნობილ მსახიობსა და დეკლამატორთან ელდინო საღარაძესთან , რომელთანაც ქედიდან კვირაში ორჯერ მამას მიჰყავდა დედაქალაქში. ნიჭიერმა შეგირდმა ოქროს მედალიც მოიპოვა. ბევრი სასიამოვნო წუთი დარჩა ბავშვობაში, ბევრი წარმატებული დღე და მოგონება.

1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და სტუდენტობის დაუვიწყარი დღეები დაიწყო, მაგრამ... ბევრი იყო რთული დღეებიც- ტკივილიანი 9 აპრილი, თბილისის ომი, ერთმანეთს დაპირისპირებული ქართველი ხალხი და დაცხრილული რუსთაველი, გაქცეული პრეზიდენტი, მხედრიონის თარეში, სიცივე, სიბნელე, უტრანსპორტობა,სადღეღამისო ლოდინი ერთი „ ბუხანკა“ პურისთვის, საბურავების ნამწვით დაფარული დედაქალაქი, გაჩერებული და გაძარცვული ფაბრიკა-ქარხნები, დაწესებულებები, უმუშევრობა...ერთი სიტყვით,ოთხმოცდაათიანი წლების მთელი სიმძიმე მაიას თაობის მხრებზე წაიქცა, მაგრამ არ შეუწყვეტია ფიქრი უკეთეს მომავალზე და დადგა არჩევანი, სად გაეგრძელებინა სწავლა, რომ ფეხზე მყრად დამდგარიყო.

-მე ესპანეთისკენ მიმიწევდა გული, ქართველების და ბასკების თვისობრივი ნათესაური კავშირები ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ მამის რჩევით გერმანიაში წასვლა გადაწყდა. 1993 წელს ვიზით წავედი დროებით, დავბრუნდი და 1994 წელს უკვე სტუდენტური საგზურით ქალაქ კილში გავემგზავრე და სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანისტიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამოდენიმე წლით დარჩენა გადავწყვიტე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. თანაც, საქართველოში ჯერ კიდევ ყველაფერი თავდაყირა იდგა. ახლაც გული მიკვდება, როდესაც მახსენდება საქართველოდან როგორი ჩაბნელებული და მკვდარი აეროპორტიდან ავფრინდებოდი და როგორ გაჩახჩახებული და სიცოცხლით სავსე აეროპორტში ჩავფრინდებოდი ხოლმე გერმანიაში. თარჯიმანისა და მთარგმნელის საქმიანობის პარალელურად მუშაობა კილის ადგილობრივ ტელევიზიაში დავიწყე და , როგორც იტყვიან,„სადაც არის ბედი შენი , იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“, ისე გამოვიდა. რედაქციაში მისვლის პირველსავე დღეს შევამჩნიე სასიამოვნო, ტიპიური გერმანული აღნაგობის სიმპატიური ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ცოტა ამპარტავანი, ცივი და ჩაკეტილი მომეჩვენა. ის პროფესიით ეკონომისტი იყო და ტელევიზიის მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილებაში მუშაობდა. მალე დავახლოვდით და ხელში სულ სხვა ადამიანი შემრჩა- თბილი, ჭკვიანი, განათლებული, ზრდილი, ერთი სიტყვით ,სწორედ ისეთი, როგორზეც ვოცნებობდი,ჩემს გემოვნებას სრულად აკმაყოფილებდა და მე და მორთენ ვოლფმა ოჯახი შევქმენით. ოცი წელია ერთად ვართ.ჯვარიც დავიწერეთ.

-შენ გახდი კათოლიკე თუ ის- მართმადიდებელი?

-მორთენი გახდა მართმადიდებელი და როდესაც გაოცებული მეგობრები ეკითხებოდნენ,ასე რატომ გადაწყვიტეო, პასუხობდა:- როდესაც მაია ლოცულობდა უზომოდ, დიდი სიმშვიდე ისადგურებდა ჩვენში, თანაც, ყველაფერი უსრულდებოდა, რასაც სთხოვდა უფალს. მაინცდამაინც ,არა აქვს დიდი მნიშვნელობა , კათოლიკე იქნები თუ მართმადიდებელი, მთავარია გწამდეს ღმერთიო. მორთენს ერთი და ჰყავს. მამამთილი გარდამეცვალა, დედამთილი ცალკე ცხოვრობს. ხანგძლივი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ღმერთმა ინება და ლევანი დაიბადა. ის რვა წლისაა. ძალიან ბედნიერი ვარ.

-ამბობენ, გერმანელები ცივი და მკაცრი ხალხიაო. როგორ შეეგუე, ეს სიმართლეა?

-არა, ეს მითია, ასე შორიდან ჩანს. უბრალოდ, ცოტა უფრო ფრთხილები არიან, მეტს ფიქრობენ და აანალიზებენ, ვიდრე ადამიანს დაუახლოვდებიან, უფრო მეტი დრო სჭირდებათ, რომ გაგიცნონ და გენდონ. როგორც ერი , რაციონალურად მოაზრვნე და კანონმორჩილია, წინდახედული, ჩვენ ემოციურები და მეამბოხეები ვართ. ძალიან ერთგული მეგობრობა იციან, საქმეშიც მხარში დაგიდგებიან, თუ ხედავენ , რომ მონდომებული და მშრომელი ხარ, რადგან თავადაც უაღრესად მშრომელები და მოწესრიგებულები არიან. რაც შეეხება შეგუებას, ცოტა რთულია, ნოსტალგია მაინც გძალავს. ჩემი სამშობლო საქართველოა და ის ერთადერთია, გერმანია ჩემი სახლია და სახლი ცვალებადია. ეს არის ქვეყანა, რომელიც არ გრთგუნავს და ხელს გიწყობს, გიყვარდეს შენი და შეითვისო მათიც. იქ ქალი და კაცი ,მართლაც , თანაბრად თავისუფალია, მათი საქმე გაყოფილი არ არის საქალო და საკაცო საქმეებად, ეს ცხოვრებას აიოლებს, მეტი ურთიერთგაგება და თანადგომაა. ჩვენი ერთადერთი ვაჟი, ლევანი, რომელიც ხანგძლივი , თექვსმეტწლიანი ლოდინის მერე, უფლის ნებით და წყალობით , ამქვეყანას მოევლინა, მშობლების თანაბარი მზრუნველობის ქვეშ იზრდება. ის ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა და მორთენი ისევე მონაწილეობს მის გაზრდასა და აღზრდაში, როგორც მე. 27 წელია გერმანიაში ვცხოვრობ და როგორც ზემოთაც ვთქვი, ის ჩემი სახლია. როდესაც პირველად სიზმარი ვნახე გერმანულად, ბნედადაცემულს გამომეღვიძა და ბევრი ვიტირე, შემეშინდა, იდენტობის დაკარგვის შემეშინდა, მერე თანდათან ფიქრშიც შემომეპარა გერმანული ენა, ახლა უფრო ხშირად გერმანულად ვფიქრობ და ვაზროვნებ, მაგრამ ჩემი ქართული გენი ამით არავითარ საშიშროებას არ გრძნობს, უკვე ჩამოვყალიბდი, ჩემი ბიოლოგიური დედა საქართველოა, აღმზრდელი- გერმანია. ბევრი კარგი თვისება გამოვიმუშავე, მადლობელი ვარ, მაგრამ ჩემს ფესვებზე მყარად ვდგავარ.

-ახლა რას საქმიანობ გერმანიაში, ისევ ჟურნალისტიკაში ხარ?

- არა, გამჭირდა, მაგრამ შეველიე. არ მომასვენა ვაზის სიყვარულმა, რომელიც ბავშვობის იმ დროიდან მოდის, როდესაც სკოლის მოსწავლეებს სატვირთო მანქანის ძარაზე გადებულ ხის ფიცრებზე ჩატენილებს ჟივილ- ხივილით რთველში წაგვიყვანდნენ ხოლმე. თვალუწვდენელ საკოლმეურნეო ვენახებს შესეულ მთელ სოფელს მოსწავლეებიც ვეხმარებოდით ურძნის კრეფაში. ეს იყო სასწაულად ლამაზი დღეები ჩვენი სილაღისა, სიცელქისა, ერთმანეთის გაქილიკებისა, თმაში მიპარვით ჩაწურული ყურძნის მტევნის სურნელისა... მაშინ ვერ ვხვდებოდი ჩემს გენეტიკურ მიჯაჭვულობას ვაზთან, გერმანიაში მივხვდი, რომ ჩემი ბედი ვაზთან ბმულია და დავიწყე ბიზნესზე ფიქრი. ჯერ ტაილანდური რესტორნის გახსნა გადავწყვიტეთ ჩვენსავე უბანში, რადგან ძალიან კარგ გარემოცვაში ვცხოვრობთ,გარშემო კარგი ხალხია, გვიყვარს ჩვენი უბანი. იტყვით, რატომ ტაილანდური და არა ქართული.იმიტომ, რომ ტაილანდური სამზარეულო ძალიან მსუბუქი და ჯანსაღია. მერე კი, როცა ცოტა მოვძლიერდით, ქართული რესტორანიც მივუმატეთ, ხინკლის და მწვადის სუნი დავატრიალეთ. საქმე კარგად მიდის. ამ საქმის პარალელურად ჩემი ოცნების ასრულება დავიწყე- ჩემი პატარა მამული მინდა მოვიწყო ჩემს ქართულ, მამაპაპისეულ მიწაზე. ჩემს ძმასთან , ლუხუმ ნაკვეთაურთან ერთად, 7 წლის წინ ქვემო ქედში 17 ჰექტარი ვენახი გავაშენეთ. ახლა ღვინის საოჯახო მარანს ვაშენებთ, რომელიც მალე დასრულდება. ის 80-90 ტონაზეა გათვლილი. აქ, ძირითადად, კლასიკური ევროპული ღვინის წარმოებას ვაპირებთ, თუმცა, ქვევრის ღვინოსაც დაეთმობა გარკვეული ადგილი. სამომავლოდ პატარა საოჯახო რესტორანს და სასტუმროსაც ვგეგმავთ, რადგან ტურისტული ხაზი სრულად ითვალისწინებს ყველანაირ მომსახურებას. ტურისტისთვის მოგზაურობისას გამორჩეულად მდიდრულ კომფორტს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია საშხაპე,სუფთა ლოგინი და ადგილობრივი მენიუს შეთავაზება. რაც უფრო ბუნებრივია გარემო, მით მიმზიდველია. ვიდრე ჩემი ბიზნესი ამ წერტილამდე მივა, იმედია, წყლის პრობლემა გადაიჭრება ჩვენს რაიონში, რაც ერთ - ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ჩვენი საქმიანობისთვის. აქვე მინდა ვისურვო, რომ ვაშლოვანის უნიკალურ ნაკრძალამდე მისასვლელი გზა უკეთ მოეწყოს, რადგან დროშიც მოგებული უნდა იყოს ტურისტი და არც მგზავრობით დაქანცულს ხალისი არ უნდა დაეკარგოს ამ უმშვენიერესი და უიშვიათესი ლანდშაფტის აღქმით გამოწვეული სიამოვნებისათვის. ჩვენს სოფლებში ტურიზმის მიბმა სწორედ ვაშლოვანის ხაზზეა უპრიანი. ტურიზმში ჩართვა კი მარტო მე, ერთ ოჯახს კი არ მასარგებლებს, არამედ მთელ სოფელს. რაც შეეხება ღვინის ჩამოსხმას, ვფიქრობ, ამ სეზონზე შევძლებთ. ბაზარი კი უკვე გარანტირებული გვაქვს- გერმანია ჯერ კიდევ აუთვისებელია.

- ამხელა გეგმებს გერმანიიდან როგორ უხელმძღვანელებთ?

- რატომ გერმანიიდან! ორ წელიწადში გერმანიის ბიზნესს ჩემს დას ჩავაბარებ, რომელიც უკვე გერმანია

/გაგრძელება გვ. 5/

რ თ ვ ე ლ ი ი წ ყ ე ბ ა

რთველი საქართველოში დედოფლისწყაროდან იწყება. ალაზნისპირა სოფლებში აცხადებენ, რომ ყურძენი საჭირო კონდიციაში თითქმის შესულია და მის დასაბინავებლად მზადება დაწყებული აქვთ. სამთაწყაროელების თქმით, წელს ყურძნის მოსავალი ცუდი არაა, მაგრამ იმათ გაცილებით გაუმართლათ, ვისი ვენახიც სარწყავ ზონაში მოხვდა. „ძალიან კარგია, რომ სარწყავ სისტემას მიეხედა და ვენახების ნაწილი უკვე ირწყვება. ამან მოსავალზეც დადებითად იმოქმედა და წელს ხარისხიან ყურძენს ველოდებით. ხელისუფლებასთან ერთი თხოვნა გვექნება – სამომავლოდ იქნებ იმ ზონასაც მიეხედოს, სადაც ვენახი მხოლოდ კვირაში ერთხელ ირწყვება. ამ ზონაში ყურძენი ხარისხით დიდად ვერ დაიკვეხნის“-ამბობენ სამთაწყაროელები გაზეთ „შირაქთან“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის ეს პრობლემა ნაცნობია. როგორც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მომავალი წლისთვის საქართველოს მთავრობა სამელიორაციო სისტემის ბოლომდე გამართვას გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი რთველისთვის მოსახლეობას ვენახების მორწყვის საკითხი მთლიანად მოუგვარდება.

20 აგვისტოდან კახეთის რეგიონში საკოორდინაციო შტაბი იქმნება, რომელიც რთველი-2021-ის წარმატებით ჩატარებაზე იქნება პასუხისმგებელი. შტაბის მუშაობაში აქტიურად იქნება ჩართული პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი. ის მევენახეებს პირობას აძლევს, რომ ყველა პრობლემის მოგვარებაში უშუალოდ დაეხმარება.

ალაზნისპირა სოფლის მცხოვრებლები კიდევ ერთ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, რამაც, შესაძლოა, ყურძნის დაბინავებაში ხელი შეუშალოს. ეს მოუწესრიგებელი გზის მონაკვეთია. „ვენახებთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა აუცილებელია, რათა მანქანებს პრობლემა არ შეექმნათ ყურძნის გატანის დროს. ამ გზაზე სიარული არავის უნდა, იმდენად ამორტიზებულია“-ამბობენ მევენახეები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული გზის მოწესრიგების პროცესი უკვე იწყება. შესაბამისი უწყების წარმომადგენლები აქ უკვე იმყოფებოდნენ და სარეაბილიოტაციო სამუშაოები ამ დღეებში დაიწყება.

სოფლებში-სამთაწყაროსა და ფიროსმანში რთველი აგვისტოს ბოლოს დაიწყება. წელს, პანდემიიდან გამომდინარე, სახელმწიფო რთველს კვლავ დაასუბსიდირებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, „2021 წლის რთველის წარმატებით და ორგანიზებულად ჩასატარებლად, სახელმწიფოს მიერ მობილიზებულია ყველა საჭირო რესურსი”.

ჩვენ გავიღებთ მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ რთველი ჩატარდეს წარმატებულად, ყველა მევენახე ფერმერმა შეძლოს მოსავლის დაბინავება, ხოლო საწარმოებმა ყურძნის მიღება-გადამუშავება. უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები - საქართველოს მთავრობამ მიიღო სუბსიდირების გადაწვეტილება, რათა პანდემიის გამოწვევები დაბალანსდეს და შექმნილი ვითარება უარყოფითად არ აისახოს როგორც ფერმერებზე, ისე ღვინის მწარმოებლებზე; ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დარგის სტაბილური განვითარების დინამიკა“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომნია, რომელიც 2021 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა „რქაწითელის“-ა „კახური მწვანის“ ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ, მევენახეს გადაუხდის არანაკლებ 0,90 ლარს. კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია, 1 კგ ყურძნზე, 0,35 ლარს შეადგენს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რთველი 2021-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, გასული წლების ანალოგიურად, 24 საათიანი რეჟიმით იმუშავებს რთველის საკოორდინაციო შტაბი, რომელიც განთავსდება ქალაქ თელავში. ამ ეტაპზე, უკვე მიმდინარეობს შტაბის ტექნიკური გამართვის სამუშაოები.

2021 წელს საქართველოში ყურძნის საპროგნოზო მოსავალი რეკორდულ, 300 ათასამდე ტონას აღწევს.

ინგა ჯიოლაშვილი

რ ო ცა პ ი რ ვ ე ლ ა დ გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ ვ ნ ა ხ ე ს ი ზ მ ა რ ი . . .

/მეოთხე გვერდიდან/

ში ცხოვრობს და ჩემთან ერთად ჩართულია ამ საქმეში. მე, მორთენი და ლევანიკო საქართველოში დავბრუნდებით. მორთენს ძალიან მოსწონს აქაურობა, ჩვენ ხშირად ჩამოვდივართ ხოლმე, ლევანიც ორი წლის შემდეგ აქ, ქართულ სკოლაში შევა სასწავლებლად, ის უკვე დავარეგისტრირეთ.

- ყოჩაღ, მაია, ძალიან გამიხარდა შენი გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, კარგახანია აქ ხარ და რაც 5 ივლისს მოხდა გეცოდინება. როგორ შეაფასებ ამ მოვლენას შენი გადმოსახედიდან ?

- უპირველესად, ვგმობ ყოველგვარ ძლადობას. ბოლო ათ წელიწადში საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგდა ადამიანის უფლებების დაცვა, მაგრამ საზოგადოება,ვგულისხმობ ორივე მხარეს, ვერ გაიზარდა, ვერ ჩამოყალიბდა. თავი უნდა დავანებოთ სხვის საძინებელში შეჭყეტვას და, მით უმეტეს, მის კომპრომატებად გამოყენებას. ეს სახელმწიფოსაც ეხება. ზოგადად კი თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ისე იცხოვროს,როგორც უნდა. ადამიანი ადამიანია, მთავარია მან არ შეგაწუხოს თავისი განსხვავებულობით, დაიცვას თავისი უფლება, მაგრამ იმაზე მეტი არ მოითხოვოს, რაც სხვებს აქვთ. გერმანიაში მე მყავს ნაცნობები, ამხანაგები და თანამშრომლებიც, რომლებიც განსხვავებული ორიენტაციის არიან, მაგრამ მათ ჩვეულებრივი საზოგადოებისაგან ვერ გამოარჩევთ. ჩვენ არ გვაქვს ადამიანის განკითხვის უფლება, განმკითხავი უფალია! ყველა ქართველის ვალია, არ დაკარგოს თავისი იდენტობა, რაც გამოიხატება ილიას მიერ ნაანდერძებ სამ უმნიშვნელოვანეს სიტყვაში:- მამული, ენა, სარწმუნოება! ჩვენ ხომ ამით გამოვირჩევით სხვებისგან.

- რას ფიქრობ პანდემიასთან დაკავშირებით?

- პანდემიამ მსოფლიო ამოაყირავა. ყველა ქვეყანა ებრძვის , მაგრამ ზოგს უკეთ გამოსდის, ზოგს - ნაკლებად. გერმანია ეკონომიურად ძლიერი ქვეყანაა, ამიტომ, სახელმწიფო მყარად დაუდგა მხარში ბიზნესს და მოსახლეობას. მრავალნაირი დახმარება გაიცა. ჩვენ, მაგალითად, არცერთი თანამშრომელი არ გაგვითავისუფლებია სამსახურიდან, რადგან ბიუჯეტი რეგულარულად გვიხდიდა ხელფასის 75 %-ს ფაქტიურად, მთავრობამ გაკოტრებისაგან გადაგვარჩინა. რეგულაციებიც გონივრულად იგეგმებოდა, ხალხიც ემორჩილებოდა. რაც შეეხება აცრებს, ვაქცინის შექმნისთანავე გერმანიამ ერთ- ერთმა პირველმა დაიწყო ვაქცინაცია. მოსახლეობა თავისი ნებით მასობრივად აიცრა. ანტივაქსერების რიცხვი ძალიან მცირეა და გავლენას ვერ მოახდენს საერთო შედეგებზე. აცრის პროცესი დასასრულს უახლოვდება და რეგულაციები აღარ დაგვჭირდება. შეიძლება ავადობის შემთხვევები ისევ იყოს, მაგრამ ვაქცინირებული მოსახლეობა ლეტალური შედეგისა და გართულებისაგან დაცულია. საქართველოში სხვა სიტუაციაა. ეკონომიკა ურთულეს მდგომარეობაშია და მკაცრ შეზღუდვებს ველარ გაუძლებს. ამიტომ, უნდა ამაღლდეს მოქალაქეობრივი თვითშეგნება , ვაქცინაციის პროცესი უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს, რეგულაციები ყველამ უნდა დაიცვას, გვერდზე უნდა გადავდოთ ჩვენი ემოციური და მეამბოხე ხასიათი და დავემორჩილოთ კანონს და რეგულაციებს. ამ ეტაპზე მსოფლიოში აცრის გარდა გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს. არ უნდა ავყვეთ ერთეულების „ ბრძნულ“აზრებს და არ წამოვეგოთ გაუაზრებელი მოწოდებების და ეჭვების ანკესს. მეც და ჩემი მეუღლეც ორი დოზა ფაიზერით ვართ აცრილები.

- შენი მოგონებები და სურვილები გაზეთ „ შირაქთან“ დაკავშირებით.

- ო, „ შირაქი“ ჩემი ბავშვობის ერთი ნათელი, განუყრელი მოგონებაა, ისე როგორც კულტურის სახლი, პიონერთა სასახლე...მახსოვს თქვენთან პირველი შეხვედრის მოლოდინში როგორ დავიღალე, მერე სტამბა მახსოვს, ლინოტიპზე ჩამოსხმული ლითონის სტრიქონი- „ მაია ნაკვეთაური“, მელანს რომ გადავუსმევდი და ბეჭედივით დავარტყამდი სუფთა ფურცელზე , ჭკუაზე არ ვიყავი სიხარულისგან. მკვეთრად მახსოვს თქვენი ფურცლებგაყვითლებული გაზეთის შეკერილი კომპლექტები, რაიონის ცხოვრებას ხელისგულივით რომ გვიშლიდა თვალწინ. მიყვარდა რედაქციაში მოსვლა, რადგან ყველა თბილად მეპყრობოდა. თქვენ კი ჩემი მთავარი კურატორი იყავით და მადლობელი ვარ ყველა იმ პროფესიული თუ ადამიანური რჩევისთვის, რაც თქვენგან მიმიღია.მიხარია, რომ მრავალ გაჭირვებას გაუძელით და შეინარჩუნეთ გაზეთი, რომელიც რაიონის მემატიანეა აგერ უკვე 84 წელია. ეს თქვენი და მთელი თქვენი კოლექტივის დიდი დამსახურებაა. გისურვებთ კვლავაც ათეული წლები მიგეთვალოთ და ამ ტექნოლოგიური ბუმის ფონზე თქვენი ფუნქცია არ დაგეკარგოთ. ბეჭდვური მედია შეუცვლელია, ისე, როგორც წიგნი. მე მადლობელი ვარ თქვენთან გატარებული წლებისთვის , რომელმაც ჩემი მომავალი განსაზღვრა.

- მაია, მოდი, ჩვენი საუბარი ერთი პატარა ბლიცით დავამთავროთ, რომელიც შენს პორტრეტს უფრო სრულყოფილს გახდის.

- როდესაც ბრაზდები...

-ვყვირი ქართულად, ემოციურად.

- ცხოვრების არსი?

- სიყვარული, დაწყებული თავისი თავის სიყვარულით.

-გატაცება

- პოეზია.

- რას კითხულობ?

-ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნიდან ლექსებს ვსწავლობ.

- როდესაც გიხარია...

-ვტირივარ.

- შენთვის მეგობარი არის ...

- სულის ნაწილი.

-ზღვა თუ მთა?

- ორივე. გერმანიაში ზღვისპირა ქალაქში ვცხოვრობ, გენეტიკურად კი მთა მეძახის .

- ყვავილი?

- ია.

- სამშობლო შენთვის არის ...

- ტკივილი და სიყვარული ერთად. მე დავბრუნდები.

- გმადლობთ გულწრფელობისთვის. გისურვებ წარმატებებს.

ნაირა გორაშვილი

რა ელის მთიან რეგიონებს საპენსიო პროგრამის ბანკებზე გადანაწილების შემთხვევაში?

საპენსიო სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთის შემცირება არაერთი პოლიტიკური პარტიის დაპირებებში მოგვისმენია. თუმცა საკითხავია, რამდენად რეალურია ამ დაპირების შესრულება. როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, საპენსიო სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება სულაც არ არის მარტივი, რადგან ეს მაჩვენებელი საშუალო საბაზრო განაკვეთის ტოლია და მისი განახევრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

შესაძლოა სწორედ ამიტომ სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ გადაწყვიტა საკითხი სხვანაირად დაესვა და ამჯერად პენსიონერებისა და არა მარტო მათთვის იმის მტკიცება

დაიწყეს, რომ უმჯობესი იყო პენსია სხვადასხვა ბანკს გაეცა და ამით პენსიონერებიცა და სახელმწიფოც მოგებული დარჩებოდა. ინიციატივის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ კონკურენცია ბანკებს შორის გაიზრდებოდა, პენსიონერებსაც სხვადასხვა ბანკი მოემსახურებოდა და შედეგად, მომსახურების ხარისხი გაიზრდებოდა. თუმცა ამ საკითხშიც ჩნდება ბევრი კითხვა. კერძოდ, რა შეიძლება მოხდეს საპენსიო

ტენდერის დაშლის შემთხვევაში და ვინ მოემსახურება, ვინ მიუტანს პენსიას მთიან რეგიონში მცხოვრებ 200 ათასამდე პენსიონერს, ხომ არ მოუწევთ მათ ამ ხარჯის საკუთარი ჯიბიდან გადახდა, ხომ არ გაუარესდება მომსახურება, რაც დღეს შეუფერხებლად ხდება? ჩამოთვლილ კითხვებზე მკაფიო და ჩამოყალიბებული პასუხი აღნიშნული რეორგანიზაციის ინიციატორ პარტიებს არა აქვთ. სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ამ შეკითხვებზე მეტ-ნაკლებად ნათელი პასუხი მიგვეღო.

როგორ აიღებენ პენსიას იმ სოფლებში, სადაც ადგილობრივი საბანკო მომსახურება არ არის?

- საქართველოში მცხოვრები პენსიონერების თითქმის მეოთხედი დღეს ისეთ სოფლებში ცხოვრობს, სადაც არც ბანკის, მათ შორის არც საპენსიო სერვისის მიმწოდებელი "ლიბერთი ბანკის", ფილიალი და ბანკომატი არ ფუნქციონირებს. დღეს საქართველოში ასეთი 1300 სოფელზე მეტია. ასეთ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში პენსიის გაცემის უფლებას თუ სხვადასხვა ბანკი მიიღებს, ეს ნიშნავს, რომ მათ დამატებითი არცთუ მცირე ხარჯის გაწევა მოუწევთ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გასამართავად. გარდა ამისა, ჩამოსაყალიბებელი იქნება პენსიის დარიგების სისტემაც, რადგან პენსიის გაცემის

დროის დაგვიანება და ვადაგადაცილება დაუშვებელია. პენსიონერების მომსახურე ბანკი ვალდებულია ყოველთვიურად, დადგენილ ვადაში საქართველოს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში თუნდაც "ხელით მიიტანოს" და ბენეფიციარებს კუთვნილი თანხები ნაღდი ფულის სახით დაურიგოს. როგორც "ლიბერთის" წარმომადგენლები ამბობენ, წლების გამოცდილებისა და დიდი შრომის შედეგად დღეს მათ ეს სისტემა უკვე გამართული აქვთ და 1 300 სოფელში მცხოვრებ 200 000 მოქალაქესთან პენსია "ლიბერთის" თავისი მოძრავი სერვისცენტრების მეშვეობით, შეუფერხებლად მიაქვს. მათივე ინფორმაციით, 30 ათასამდე ბენეფიციართან კი ბანკის გამსვლელ მოლარეებს თანხა სხადასხვა ტრანსპორტით, ზოგჯერ ფეხითაც კი მიაქვთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ სოფლებში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს. შესაბამისად, მთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერები კუთვნილ თანხას დაგვიანების გარეშე იღებენ.

მიიღებენ თუ არა მოქალაქეები პენსიას დროულად, თუ მომსახურება სხვადასხვა ბანკზე გადანაწილდება?

- აღნიშნულზე ცალსახა პასუხი ამ ეტაპზე არავის აქვს. მომსახურების სხვადასხვა ბანკზე გადანაწილების შემთხვევაში არსებობს რეალური საფრთხე, რომ ისედაც მინიმალური თანხის დროულად მიწოდება შესაძლოა გარკვეული პერიოდით შეფერხდეს. როგორც ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ამბობენ, შეუძლებელია ერთ დღესა და თუნდაც ერთ თვეში ისე გაიმართოს პენსიის გაცემის საკმაოდ რთული სისტემა, რომ დაგვიანება გამორიცხული იყოს. აღნიშნულისთვის პენსიის ამჟამად გამცემ ბანკს საკმაო დრო დასჭირდა და აქვთ კი პენსიონერებს იმის ფუფუნება, რომ სხვა ბანკებს სისტემის გასამართად დამატებითი დრო მისცენ?!

პენსიის გაცემა ფასიანი ხომ არ გახდება, ისევე როგორც სხვადასხვა საბანკო მომსახურება?

- ამისგან დაზღვეული არავინ არის. თუმცა ექსპერტების აზრით, პენსიის გაცემის სისტემაში სხვადასხვა ბანკის ჩართვა ამ მომსახურების გაძვირებას გამოიწვევს. გაძვირების ანაზღაურება კი ორი გზით შეიძლება: ის შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვეს ტვირთად ან კიდევ უარესი გამოსავალი მოიძებნოს და პენსიის მიწოდების საფასურის გადახდა პენსიონერს თავისივე ჯიბიდან მოუწიოს.

ექსპერტების შეფასებით, ახლა ერთი მომსახურე ბანკის შემთხვევაში ამ მომსახურებას მთლიანად ბანკი ახორციელებს, დაშლის პირობებში კი მოსალოდნელია ადმინისტრირების ტვირთი ძირითადად სახელმწიფოზე გადავიდეს. პროცესის მართვა სოციალური მომსახურების სააგენტოს მოუწევს, რომელსაც დღეს სისტემა გამართული აქვს ერთ ბანკთან ურთიერთობით. ტენდერში რამდენიმე ბანკის გამარჯვების შემთხვევაში კი აუცილებელი იქნება გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი, რაც, თავის მხრივ, პენსიის მიწოდების სერვისის ღირებულებაზეც აისახება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მოკვლევის დროს აღმოვაჩინეთ ერთი საინტერესო ფაქტი - თურმე დღეს სახელმწიფო არაფერს უხდის ბანკს, რომელიც პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს ექსკლუზიურად ემსახურება.

კიდევ რა რისკების წინაშე შეიძლება ამოჩნდნენ პენსიონერები?

- სისტემამ გამართულად და შეფერხებების გარეშე უნდა იმუშაოს, მათ შორის კრიზისის დროს და პენსიების გამცემმა ბანკმა უწყვეტად და უხარვეზოდ შეძლოს მომსახურება. ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით გამოჩნდა. სხვადასხვა ბანკი შეძლებს იმას, რაც პენსიის გამცემმა ბანკმა შეძლო, როდესაც სრული ჩაკეტვის პირობებშიც კი მთელი ქვეყნის¬ მოსახლეობა პენსიასა და სოციალურ გასაცემლებს შეუფერხებლად და დროულად იღებდა? ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს. მეორე მხრივ, როგორც ამჟამინდელი პენსიების გამცემი ბანკის წარმომადგენელი ამბობს, იმისათვის, რომ პანდემიის პიკში არ მომხდარიყო ერთდროულად პენსიის გაცემით რიგების ზრდა, რაც უეჭველად გამოიწვევდა ინფიცირების მატებას ასაკოვან მომხმარებელში, "ლიბერთიმ" სწრაფი ადმინისტრირებით გაანაწილა მომხმარებელი და ყველას ინდივიდუალური დღე განუსაზღვრა სერვისის მისაღებად.

გადამწყვეტია, რომ თითოეულ ზემოთ დასმულ კითხვაზე მკაფიო პასუხი გაიცეს და მხოლოდ შემდეგ დადგეს საკითხი, საჭიროა თუ არა, რომ პენსიას რამდენიმე ბანკი გასცემდეს. სხვადასხვა ბანკისა თუ პოლიტიკური პარტიის ინტერესების სანაცვლოდ პენსიების გაცემის საკითხი ბუნდოვანი არ უნდა გახდეს. ეს გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ კონკრეტული ადამიანების მიზნების განხორციელების სანაცვლოდ, ათასობით მოქალაქე და მათთან ერთად საბოლოოდ სახელმწიფოც დაზარალდება.

განსხვავებული აზრი

ერთხელ ინტერვიუს პროცესში უმბერტო ეკომ ჟურნალისტი ქალბატონი გამოარჩია და ჰკითხა: „ვიცი, როგორი დაკავებული ბრძანდებით, ამიტომ ერთ უხერხულ შეკითხვას დაგისვამთ: თქვენი გადატვირთული გრაფიკის პირობებში ჩემი წიგნის რამდენიმე გვერდის წაკითხვა თუ მოახერხეთ?“ ჟურნალისტი წამოწითლდა და უპასუხა, რომ წიგნის ექვსასივე გვერდი, პირველიდან ბოლო გვერდამდე, წაიკითხა, თანაც რამდენიმე მონაკვეთი — ორჯერაც კი. ეკომ ამოიოხრა და დაბალი ხმით თქვა: „აი ესაა ნამდვილი პრობლემა! ნეტა რომელი წიგნის განხილვას ვაპირებთ, თქვენ რომ წაიკითხეთ, თუ მე რომ დაწერას შევეცადე, იმისას?“



ხშირად ხდება, რომ ფაქტებთან თანაბარი წვდომის შემთხვევაშიც კი ადამიანები განსხვავებულ აზრებს გამოთქვამენ, ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს აფიქსირებენ და ამის ნიადაგზე მათ შორის უთანხმოება ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული აზრის ხშირად ეშინიათ, დიდი ხანია, აღიარებულია, რომ განსხვავებული აზრი და დისკუსიის ნიადაგზე წარმოქმნილი უთანხმოება, ჩვეულებრივი რამაა.

საქართველოში არ უყვართ განსხვავებული აზრი. არც სხვაგან უყვართ, თუმცა, საქართველოში განსაკუთრებით. ხშირად, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს სასწრაფოდ იუდებად და მოღალატეებად შერაცხავენ ხოლმე. ეს სახელები ერთხელ თუ მოგეწება, მტრისას, მოშორება უკვე ძნელია. საქართველში არის ყოველთვის ერთი აზრი, რომელსაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბრმად ენდობა, იზიარებს და მზადაა მისთვის თანამოქალაქეს მტრად გადაეკიდოს.

განსხვავებული აზრი ყოველდღიურად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი სურვილისდა მიუხედავად, გავლენას ახდენს მასზე. გვინდა თუ არ გვინდა, მას თითოეულ ნაბიჯზე ვაწყდებით და ხშირად მის მიმართ აგრესიასაც გამოვხატავთ. ის საზოგადოებასთან ერთად გაჩნდა, ახლაც არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ საზოგადოება იარსებებს. ზოგისთვის ის დასასრულის მომასწავებელია, ზოგისთვის კი სიახლის დასაწყისი, ზოგისთვის უკეთესის შექმნის მცდელობაა, ზოგისთვის კი სიმართლის დანახვის საშუალება. თუმცა, სამწუხაროდ, იგი ჩვენივე საზოგადოების მსხვერპლი ხდება. ეს განსხვავებული აზრია და ყველაფრისდა მიუხედავად, არსებობას განაგრძობს.

თუმცა, საკითხავია ვისგან ან რისგანაა ის განსხვავებული და რატომ იმსახურებს უფრო მეტ აგრესიას ვიდრე მოწონებას, რატომ ვრეაგირებთ ჩვენგან განსხვავებულზე აგრესიით და არა დაკვირვებითა და საკუთარი პოზიციის გაანალიზებით?

შესაძლოა, აღიარება ძნელი იყოს, მაგრამ ძალიან იშვიათად მოგვწონს ჩვენგან განსხვავებული, შეიძლება არ გვაღიზიანებს, მაგრამ არც მოგვწონს. ამას ხან ეგოიზმად მოიხსენიებენ, ხან — ჩაკეტილობად, ხან — რასიზმად, ხან — ნაციონალიზმად, ხანაც —ეთნოჩაგვრად, თუმცა შედეგი და მიზეზი ერთი და იგივეა — ჩვენ არ მოგვწონს ჩვენგან განსხვავებული. ამ პრობლემის გადაჭრის კარგი მცდელობა იყო კანონში იმის მითითება, რომ ყველა თანასწორი ვართ, რომ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს, მაგრამ შეცვალა კი ამან რამე ჩვენში? ჩვენც ხომ ვიღაცისთვის განსხვავებული ვართ.

ყველაზე რთულად კი საქმე მაშინაა, როდესაც ეს განსხვავებულობა სიმართლის თქმაში გამოიხატება. საზოგადოებას თითქოს უნდა უხაროდეს, გამოჩნდა ვიღაც, ვინც მიხვდა ყველა პრობლემის სათავეს, დაძლია შიში ეთქვა ეს და ახლა მოგვარებას ცდილობს, მაგრამ უხარია კი საზოგადოებას? მართალია, საზოგადოებას გააჩნია..

დიახ, ეს პრობლემა მხოლოდ ისეთ საზოგადოებას ახასიათებს, რომელიც საკუთარ თავში ღრმადაა ჩაკეტილი და სულაც არ სურს განვითარება. იქნებ, ეს ჩვენი უარყოფითი ემოცია სულაც არ არის ჩვენი და პირიქით, ვიღაცის სურვილსა და ნებას ვემორჩილებით, იქნებ, იმდენად გაგვიჯდა თავში ყოველდღიურად ერთი და იგივე, რომ სხვაგვარი უბრალოდ ვეღარ წარმოგვიდგენია? თითქოს უცნაურიც კია, ჩვენ მოგვწონს, როდესაც თავად ვართ სხვებისგან განსხვავებული, მაგრამ როდესაც სხვას ვხედავთ ჩვენგან განსხვავებულს — არა. დასანანი კი ისაა, რომ საზოგადოების ასეთ პოზიციას ხშირად ისეთი ადამიანები და იდეები ეწირება, რომლებიც სამყაროს აუცილებლად უკეთესს გახდიდა. თუ საქართველოში ყველაზე პოპულარული თემების გარშემო არსებულ მსჯელობას დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თითქმის ყველანაირი საკითხი ხშირად დაეჭვებასა და უნდობლობას იწვევს. ადამიანებისა და ჯგუფების დიდი ნაწილი ეჭვებს გამოთქვამს, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს, მკაფიოდ გაცხადებულ მიზეზებს შეცდომაში შევყავართ და არსებობს მოვლენების ალტერნატიული ახსნა, რომელიც მკაფიოდ არ ცხადდება — დაფარულია. მაგალითად, პანდემიის პარალელურად ბევრ ადამიანსა და ჯგუფს უჩნდება ეჭვები და უნდობლობა პაციენტების მკურნალობის პროცესის, ფარმაცევტული კომპანიების, აცრების ირგვლივ თუ პანდემიის რეალურობის შესახებ. ეჭვები, უნდობლობა და ალტერნატიული მოსაზრებები არსებობს პოლიტიკური მმართველობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესახებაც. პროცესების ალტერნატიული ახსნა, რომელსაც ხშირად შეთქმულების (კონსპირაციულ) თეორიას უწოდებენ, უმეტესად ერთ ფაბულას იმეორებს — რაც ზედაპირზე ჩანს, ყველაფერი სიმართლე არ არის, არსებობს უხილავი ძალაუფლება და განზრახვები, რომელიც ფასადის უკან იმალება და რასაც მუდმივად მალავენ ძლევამოსილი პირები და ინსტიტუტები. უნდობლობა, ეჭვები, ჭორები და კონსპირაციული თეორიები პოპულარულ დისკუსიებში ხშირად დეზინფორმაციის, სახელმწიფო მმართველობის ან სოციალური აზროვნების ჩამოშლის ჭრილში განიხილება. **დიახ,განსხვავებულია აზრები,ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული, მაგრამ მყისიერი აგრესიის გამოვლენის მაგივრად იქნებ ღირდეს დაფიქრება? დღევანდელი პოლარიზებული საზოგადოების ფონზე სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა ჩვენს წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს.**

ადამიანები, განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ვიყოთ ერთმანეთის მიმართ მიმტევებლები. განსხვავებული აზრის მიმღებლობა თუ არ გვექნება, უბრალოდ მოვუსმინოთ ერთმანეთს და გავილიმოთ. ამ მძიმე და დამთრგუნველი სიტუაციიდან მხოლოდ სიყვარული თუ გვიხსნის.

გიყვარდეთ ერთმანეთი, ადამიანებო!

ხათუნა გენაშვილი

პროცესები აღმოსავლეთში

ბევრი გაკვირვებულია თუ როგორ მოახერხა თალიბანმა ასე იოლად და სწრაფად დასავლეთის მიერ ათწლეულების განმავლობაში გაწვრთნილი და შეიარაღებული ავღანეთის ეროვნული არმიის დაბრკოლების დაძლევა და ქვეყნის თითქმის სრულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება. ამ კითხვაზე თითქმის ცალსახა პასუხი თავად ავღანური საზოგადოების სტრუქტურაშია. ავღანეთი თვისებრივად დღემდე ტრაიბალური საზოგადოებაა, სადაც სოციალური ქსოვილის მთავარი სუბიექტები გვაროვნული ტომებია.

მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთს სახელმწიფოებრიობის ორ საუკუნეზე მეტი გამოცდილება აქვს, სახელმწიფო ინსტიტუციები (სასამართლო, პოლიცია, საგადასახადო სისტემა) ქვეყნის ისტორიის განმავლობაში ან სუსტად იყო განვითარებული და ფორმალობას წარმოადგენდა ან მთელ რიგ შემთხვევებში არ არსებობდა, განსაკუთრებით კი, ბოლო 40 წლის განმავლობაში, როდესაც ავღანეთი პერმანენტულ ომში ცხოვრობს. მაგალითად, ავღანეთში არსებობს სოფლები, სადაც სახელმწიფოს ნებისმიერი ინტიტუციისა და რანგის წარმომადგენელი დღემდე არ მისულა. ასეთი გვაროვნული ტომები პრაქტიკულად ავტონომიურად, სოფლის მეურნეობით არსებობენ. შესაბამისად, სუსტმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა მრავალეთნიკური, ტრაიბალური საზოგადოების ავღანურ ერად და ავღანური იდენტობის ჩამოყალიბება. პერმანენტული ომის და გაურკვევლობის პირობებში, სახელმწიფო ბიუროკრატიაში მუშაობა მხოლოდ პერსონალურ გამორჩენასა და მოგებას, წმინდად ოპორტუნისტულ მიზნებს ეფუძნებოდა. რისი შედეგიც იყო უკვე ყბადაღებული ღრმა კორუფციის საკითხი, რომელიც ინსტიტუციურ ჩამოყალიბებას ძირს უთხრიდა.

იგივე მოცემულობა არსებობდა თავად არმიაშიც. ავღანელი არმიაში უმეტესწილად მიდიოდა არა იმიტომ, რომ საკუთარი სახელმწიფო ინტერესები დაეცვა და მისი უსაფრთხოება უზრუნველეყო, არამედ ჯარიც პერსონალური სარგებლის და ფინანსური უზრუნველყოფის საგანი იყო. როდესაც მას ეს კომპონენტი გამოეცალა და ძალაუფლების ღერძიც მოულოდნელად გაქრა, ავღანელი მეომარი ან ემიგრაციაში გაიქცა ან უბრალოდ ფორმა გაიხადა ან სულაც, მალე თალიბანის თანამებრძოლი აღმოჩნდება. რომ არა მსგავსი სოციალური საფუძვლები, პრაქტიკულად გამორიცხული იქნებოდა პრიმიტიულად შეიარაღებულ თალიბანის დაჯგუფებებს 200 000-იანი თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებული ეროვნული არმია ორ თვეში დაემარცხებინა, განსაკუთრებით კი ურბანულ სივრცეებში, სადაც თალიბანს ბრძოლის ძალიან სუსტი გამოცდილება გააჩნია და მათთვის წამგებიან საბრძოლო მოედანს წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება წლების განმავლობაში კარგად ჰქონდა შესწავლილი და გააზრებული ამერიკულ სადაზვრევო სამსახურებს და აქედან გამომდინარეობდა მათი შიში, რომ დასავლური ალიანსის გასვლის შემდეგ ეროვნული არმია სულ რამდენიმე თვესაც ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას.

როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე ავღანეთის სახელმწიფოზე, უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს არის ურბანული სივრცეებისა და სხვადასხვა რეგიონების ერთმანეთთან პოლიტიკურად და ეკონომიკურად საკმაოდ სუსტად დაკავშირებული ქსელი. ქვეყნის ხელისუფლება კი წარმოადგენდა დედაქალაქ ქაბულის ადმინისტარციულ შენობების კაბინეტებში გამოკეტილ ადამიანთან ერთობლიობას, რომელსაც რეალური გავლენა მხოლოდ ქაბულზე ჰქონდა. ქვეყნის სხვა რეგიონებში უშუალო კონტროლი და მხარდაჭერა დასავლურ ალიანსზე იდგა. ძალიან იშვიათად ხდებოდა, როდესაც ქვეყნის პირველი პირები დედაქალაქს ტოვებდნენ და სხვა ქალაქის მოსახლეობას სტუმრობდნენ. შესაბამისად ამ ხელისუფლების ლეგიტიმაცია ძალიან სუსტი იყო და ასევე ქაბულისა და სხვა რამდენიმე ქალაქის მოსახლეობის ელექტორალურ მხარდაჭერას ეფუძნებოდა. რომ გადახედოთ ავღანეთის ბოლო რამდენიმე არჩევნებს, ისინი რეალური არჩევნების გარდა ყველაფერი იყო. შესაბამისად, საერთშორისო რაც შეეხება თავად ომს.

თავის დროზე ავღანეთში შეჭრის პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მაშინ არსებობდა მხოლოდ ამოცანები და არ არსებობდა მიზნები. ამოცანები მალევე შესრულდა: ალ-ქაიდა და უსამა ბინ ლადენი ქვეყნიდან განიდევნენ, ხოლო თალიბანის ხელისუფლება დაემხო. ხოლო მიზანი, რომელიც ავღნეთის უსაფრთხო, დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბებას შეიძლებოდა მომსახურებოდა არ არსებობდა. ამასთან თალიბანის ჯიჰადი ალ-ქაიდასგან განსხვავებით არ წარმოადგენდა საერთაშორისო საფრთხეს, მას უფრო ნაციონალისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური ხასიათი გააჩნდა. შესაბამისად, ავღანეთის ომი ბოლო თითქმის ათ წელზე მეტია რეალურად ჩიხში იყო და არ არსებობდა გეგმა მისი დასრულების. ამ ომისთვის რეალურად ბარაკ ობამას ადმინისტრაციას უნდა დაესვა წერტილი, თუმცა თუ გავიხსენებთ, სწორედ მის პერიოდში მოხდა ახლო აღმოსავლეთში ე.წ. „არაბული გაზაფხული“ - „დემოკრატიზაციის“ ახალი ტალღა, რამაც ავღანეთში ამ ომის გაგრძელება გამოიწვია. რეგიონში მიმდინარე პროცესების ფონზე, აშშ ავღანეთს ულტრაკონსერვატიულ, ჯიჰადისტურ ტერორისტულ დაჯგუფებას სამართავად ვერ დაუტოვებდა.

ამის შემდგომ უკვე იყო ინერცია, როდესაც ომი მხოლოდ ამერიკის სამხედრო ინდუსტრიის გამდიდრების ხარჯზე მიმდინარეობდა, ხოლო თავად ავღანეთი კი, გადაიქცა თანამედროვე შეიარაღების გამოცდის შესანიშნავ პოლიგონად, რისთვისაც აშშ-სა და დასავლურ ალიანსს პასუხს არავინ მოთხოვდა. როდესაც დღეს ვსაუბრობთ თანამედროვე დრონებით ომის ტრანსფორამციაზე, მისი საფუძვლები სწორედ ავღანეთში ჩაიყარა. აღსანიშნავია ისიც, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველივე წელსვე აშშ სწორედ ავღანეთში გამოცადა ე.წ. „ბომბების დედა“ ანუ ყველაზე მსხვილი კონვენციური ბომბი, რაც რეალურად მინი ბირთვული თავდასხმა იყო.

როდესაც საუბრობენ აშშ-ის მხრიდან ავღანეთის ხელისუფლების მიტოვებაზე, ეს უკვე პოლიტიკურად სამი წელია მიმდინარეობდა, მას შემდეგ, რაც აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და თალიბანს შორის პირველი ოფიციალური კონტაქტი შედგა. 2018 წელს აშშ-სა და თალიბანს შორის დაწყებულმა სამშვიდობო მოლაპარაკებებმა პოლიტიკურ თამაშგარე მდგომაროებაში ჩააგდო ავღანეთის ხელისუფლება, რომელიც საერთოდ არ ყოფილა მოლაპარაკებებში წარმოდგენილი და მისი ინტერესების აშშ-ს მხრიდან სუსტად იქნა დაცული. ავღანეთის ნატოს კოალიციური ჯარების დატოვების სანაცვლოდ აშშ-ის თალიბანის მიმართ მოხთოვნა, რომ შიდა ავღანური მოლაპარაკებები დაწყებულიყო რეალობაში მხოლოდ ფურცელზე დაწერილი ტექსტი აღმოჩნდა. თალიბანს არანაირი სურვილი არ ჰქონია და რეალური კონტაქტი არ დაუმყარებია ავღანეთის ხელისუფლებასთან ისე შევიდა ქაბულში და დაიკავა ადმინისტრაციული შენობები.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ?

როგორც აწ უკვე ავღანეთის ხელისუფლებას გააჩნდა სახალხო ლეგიტიმაციის დეფიციტი, ეს პრობლემა თავად თალიბანსაც აქვს, რაზეც მეტყველებს ბოლო დღეებში გავრცელებული არაერთი ფოტო და ვიდეო მასალა თუ როგორ სურთ და გარბიან ქვეყნის მოქალაქეების საზღვრებს მიღმა. ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ თალიბანი შეიძლება ამ შემთხვევაში უფრო „პროგრესული“ აღმოჩნდეს ვიდრე ის იყო 90-იანი წლების მეორე ნახევარში იყო პრაქტიკულად არ არსებობს. ორგანიზაციის მკვეთრად პატრიარქალური და მასკულინური ხასიათი ათწლეულების შემდეგაც სახეზეა, რომელის ფესვები ჯერ კიდევ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ომის პერიოდიდან მოდის. როდესაც ომის დროს ქვეყანა ექვს მილიონამდე ადამიანმა დატოვა, რომელთა უმეტესობა ქალები და ბავშვები იყვნენ, ავღანეთი მაშინ მხოლოდ მამაკაცებს დარჩათ დასაცავად. მათ მიერ შექმნილ პატრიარქალურ კულტურას შემდგომ უკვე რადიკალური ისლამით ინდოქტრინირებული ელემენტი მათი შვილების თაობის სახით დაემატა. თუკი თალიბანი საბოლოოდ აღმოჩნდება ქვეყნის მმართველობაში და ამ პოზიციას შეინარჩუნებს, მისი ერთ-ერთი წამყვანი პრობლემა იქნება ათწლეულების განმავლობაში გასამხედროებულ და ბრძოლის კულტურით აღზრდილ ადამიანთა კვლავ სამოქალაქო ცხოვრებაში დაბრუნება. თავად ეს მოცემულობა აჩენს რისკს, რომ ავღანეთში შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს შიდა გვაროვნული დაპირისპირებები და მინი კონფლიქტები.

თალიბანის ხელისუფლებაში მსგავსი ტრიუმფალური სახით დაბრუნება ასევე რისკის შემცველია მოსაზღვრე რეგიონებისთვის, რადგან ეს შეიძლება გახდეს ამ რეგიონებში იატაკქვეშ მოქმედი ან თუნდაც ახლად შექმნილი ტერორისტული, ჯიჰადისტური ორგანიზაციების ინსპირაციად. თალიბანს იდეოლეოგიური და პრაქტიკული კავშირები აქვს, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე ცენტრალურ აზიასა და ჩინეთში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ამ შემთხვევაში, სწორედ ეს გარემოებაა ჩინეთისა და რუსეთის მთავარი უსაფრთხოების თავის ტკივილი, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში ცდილობენ თალიბანთან უშუალო დიპლომატიურ კომუნიკაციას და ურთიერთობების დალაგებას. არსებობს სპეკუალციური მოსაზრება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში აშშ შეეცდება თალიბანი მის მოკავშირედ გარდაქმნას, რათა სწორედ რუსულ-ჩინურ-ირანული აზიური გაფართოების შესაკავებლად და ჩინური „აბრეშუმის გზის“ პროექტზე ზეგავლენის მოსახდენად. ამგვარ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ის მოცემულობა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ამერიკულ დიპლომატიურ კორპუსს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება და პერსონალური კავშირები დაუგროვდა თალიბანის პირველ პოლიტიკურ და სამხედრო პირებთან. თუმცა მოსაზრება ჯერ კიდევ სპეკულაციურად რჩება.

ამირან გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ კოვიდ-19-ის სწრაფი ტესტი აუცრელი ადამიანებისთვის ფასიანი გახდეს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, ამირან გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ კოვიდ-19-ის სწრაფი ტესტი აუცრელი ადამიანებისთვის ფასიანი გახდეს. ამის შესახებ ამირან გამყრელიძემ ვებინარზე განაცხადა, როდესაც უპასუხა დასმულ შეკითხვას, თუ გახდება სწრაფი ტესტი ფასიანი.

„ჩვენ არ გავუწევთ რეკომენდაციას, რომ ორჯერადად აცრილებისთვის სწრაფი ტესტი ფასიანი იყოს. ორჯერადად აცრილებისთვის, ვისაც რეგულარული ტესტირება ეკუთვნით, ამას სახელმწიფო დააფინანსებს. აი, ვინც არ იქნებიან აცრილები მათზე ვფიქრობთ, რომ შევიდეთ ამ წინადადებით.

ვისაც აცრა ეკუთვნის უკვე გარკვეული დროის შემდეგ (ამას საბჭო დაადგენს, როდის), კეთილი ინებონ და დამსაქმებელმა ან თვითონ დასაქმებულმა თავად უზრუნველყონ ტესტირების ფასის გადახდა. ჩვენ ვთავაზობთ, რომ ისინი იყვნენ აცრილები. რა თქმა უნდა, თუ აბსოლუტური წინააღმდეგი ჩვენებაა და ადამიანი ვერ იცრება, მისთვის ისევ უფასო დარჩება ტესტირება“, - აცხადებს ამირან გამყრელიძე.

მონატრება

ნარგიზ სეხნიაშვილი

ყველა მონატრებას აქვს საშველი, გარდაცვლილი დედის მონატრებას კი-არა. რა ტკბილი სიტყვაა დედა.

დედა, ჩემო საყვარელო, თბილო, ტკბილო, ლამაზო, თვალწინ გამიფრინდა 40 ტკივილიანი და ცრემლიანი დღე. თითქოს გუშინ იყო ის მწარე წუთები და საათები, შენ რომ დატოვე წუთისოფელი. გაუსაძლისია ჩემთვის და შენი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის უშენობა. გეძებ, გეძებ, მაგრამ ამაოდ... მენატრება შენთან საუბარიც, მესმის შენი დაძახება, მგონია, რომ აქ ხარ, ჩემო საყვარელო, მაგრამ... თითქოს დადუმდა ყველაფერი ჩემთვის. ყოველ წუთს გიხსენებენ შენი საყვარელი შვილიშვილები. დღეს მოვედით შენს საფლავთან, ლამაზი თაიგულებით შევამკეთ შენი საფლავი, დაგინთეთ სანთლები, რათა სულ ნათელი გქონდეს. დედას ასაკი არ აქვსო და მართალიცაა, ამიტომ ვიყავი წელგამართული, შენ რომ მყავდი და არსებობდი, ახლა კი...ვიდრე მე ვიარსებებ, არ მოგაკლებ სანთელ-საკმეველს. დალოცე შენი საყვარელი ოჯახი, შენ კი მშვიდად განისვენე. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ჩემო დიდო სიყვარულო და მონატრებავ. მადლობა ყველაფრისათვის!

ნანა სეხნიაშვილი

„გემოვნებაზე არ დაობენ, მის გამო ერთმანეთს ცემენ, ლანძღავენ და ომობენ“...

საყოველთაოდ არის ცნობილი გამოთქმა - გემოვნებაზე არ დაობენ. მოდით დავფიქრდეთ, რატომ წარმოიშვა ეს გამოთქმა და მართლაც არ უნდა ვიდაოთ გემოვნებაზე? ადამიანები პრაქტიკულად ყველაფერზე დაობენ, და რა არის გემოვნება ამისთანა, რომ მასზე არ უნდა ვიდაოთ?

ადამიანის გემოვნება ყალიბდება და ვითარდება, იხვეწება მასზე სამყაროს ზემოქმედებით და ამის შედეგად მასში გარკვეული ემოციების გამოწვევით. თუ ემოცია სასიამოვნოა, მაშინ ადამიანს მოსწონს ის, რამაც ეს ემოცია გამოიწვია. თუ არა და პირიქით. ამავე დროს მისი გონება ქვეშეცნეულად იმასაც აანალიზებს, სასარგებლოა თუ საზიანო მისთვის ამა თუ იმ ემოციის გამომწვევი მიზეზი. მაშასადამე, მოსწონს თუ არ მოსწონს ადამიანს ესა თუ ის საგანი, მოვლენა, აზრი და ა.შ. დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს იგი ამ საგანს, მოვლენას თუ აზრს. თანდათან მისი გონება ახარისხებს, აჯგუფებს საგნებს, მოვლენებს, აზრებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერ სასიამოვნო ან პირიქით, არასასიამოვნო ემოციებს იწვევენ ისინი მასში. ასე უყალიბდება მას გემოვნება. მაშ გემოვნება არის შეფასებათა გარკვეული სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას გარემო სამყაროსთან. რაც უფრო მეტის მნახველია ცხოვრებაში ადამიანი, მით უფრო ფართოა მის მიერ სამყაროს აღქმათა სპექტრი, რის გამოც მისი გემოვნება დროთა განმავლობაში ვითარდება, იხვეწება, მდიდრდება.

ერთიდაგივე მოვლენა ერთნაირ ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ადამიანზე? ადამიანები, რასაკვირველია ბევრი რამით გვანან ერთმანეთს (ამიტომაც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სუბიექტები ცოცხალ ორგანიზმთა გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ადამიანებს ვუწოდებთ), მაგრამ თითოეული პიროვნება ამავე დროს მატარებელია გამორჩეული ნიშნების, რომელთა გამოც წარმოადგენენ კიდეც კონკრეტულ, ერთადერთ და განუმეორებელ სუბიექტს. ასე რომ სავსებით მოსალოდნელია, რომ ერთიდაგივე მოვლენამ მათში სხვადასხვა ემოცია გამოიწვიოს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფერებს განსხვავებულად აღიქვავენ (მაგალითად დალტონიკები) და ეს სავსებით გასაგებად აიხსნება ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით. ან, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბგერებს აღიქვამენ სიხშირეთა გაცილებით ფართო დიაპაზონში, ვიდრე სხვები. მოკლედ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზოგიერთი თვალს ვერ აშორებს მხატვრულ ტილოს, რომელსაც გულგრილად ჩაუარეს სხვებმა, ან ვიღაც სულგანაბული უსმენს ბგერებს, რომელიც სხვებს არც კი ესმის.

ამით თვალსაჩინოდ ჩანს თუ როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს სამყაროს აღქმა ადამიანთა მიერ და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულია მათი გემოვნება.

მაშასადამე, განსხვავება ადამიანთა გემოვნებაში გარდაუვალია, ამასთან, ვერცერთი ადამიანი ვერ დაამტკიცებს, რომ მისი გემოვნება სჯობს სხვისას. მართალია, სხვადასხვა დროს ადამიანთა უმრავლესობას ჭეშმარიტად ან მიმბაძველობით უფრო მეტად მოსწონს ხოლმე რაღაც გარკვეული საგნები ან შეხედულებები და ისინი გარკვეული დროით დომინანტური ხდებიან (ასე იბადება მოდა), მაგრამ ეს ფაქტი გემოვნებაში განსხვავების არსებობას არ გამორიცხავს. ვინაიდან კამათი იმის შესახებ, რატომ მოსწონს ერთს ერთი, მეორეს კი სხვა რამ, უაზროა (მოსწონს და რა ქნას? იმ ფაქტს, რომ სიამოვნება განიცადა, ვერ უარყოფს, მაშასადამე მოსწონს), ამიტომ ადამიანებმა ნახეს საუცხოო გამოსავალი და შეთანხმდნენ, რომ გემოვნებაზე არ იდაონ. თუმცა, ძალიან ხშირად ასეთი კამათი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე და ის, რაც არ მოსწონდათ ან ნაკლებად მოსწონდათ კამათამდე, ახლა კამათის შედეგად უფრო მეტად მოსწონთ, ან პირიქით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გემოვნების დახვეწა აღზრდით, განმარტებებით, ცოდნის დაგროვებით შესაძლებელია. უდაოა, რომ განათლება, ინტელექტის ამაღლება ხელს უწყობს გემოვნების დახვეწას, თუმცა ისეთ გემოვნებას, რომლის გამოც ამ გემოვნების მქონე ადამიანი აჯადოებს სხვებს, განსაკუთრებული ნიჭიც სჭირდება. ზოგს ბუნებით აქვს მომადლებული ეს ნიჭი, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ნიჭს, მასაც სჭირდება გაფურჩქვნა.

მოდით, ამ საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ და გავარკვიოთ, რა დასკვნა შეიძლება განვაზოგადოთ. ადამიანები შეთანხმდენ იმაზე, რომ მათ შეიძლება სხვადასხვა გემოვნება ჰქონდეთ და ამ განსხვავების გამო არ ხდებიან ერთმანეთის მტრები. რატომ არ შეიძლება ეს განვავრცოთ ზოგადად განსხვავებულ მოსაზრებებზე, შეხედულებებზე (მათ შორის ისეთზე, რომელიც შეეხება პოლიტიკას)? თუ შევთანხმდებით, რომ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული აზრი და აზრთა განსხვავებულობის გამო მათ უფლებებში განსხვავება არ წარმოიშვება, ხომ უფრო ცივილური, ჰარმონიული საზოგადოება გვექნება? ვირწმუნოთ, რომ უფრო ჭკვიანური, სამართლიანი და სასარგებლო მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე, მოვლენაზე გაგვიჩნდება განათლების გაღრმავებით, ინტელექტის ამაღლებით და თუ მოვახერხებთ სხვების დარწმუნებასაც ამ მოსაზრებების განხორციელების სარგებლიანობაში, ნამდვილად შევუწყობთ ხელს ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2021-2022 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

სწავლების ვადა 2 წელი.
* მედდის საქმე
* სამეანო საქმე
* ფარმაცია
* სამართალმცოდნეობა
* ფინანსები და ეკონომიკა
* ბიზნესის მენეჯმენტი
* ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
* ორთოპედიული სტომატოლოგია
* საბავშვო ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი (ძიძა)

გაიცემა ორენოვანი დიპლომი მუშაობის უფლებით.

სწავლების ვადა 1 წელი
* ექთნის თანაშემწე
* მოლარე-ოპერატორი
* ბუღალტერი
* სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი

გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი.

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ **მისამართზე:** ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.№ 40 (არქივის შენობა II სართული).

599 74 73 98, 555 20 04 35,
593 96 68 33, 574 20 20 92

ულოცავენ!

თამარ მოძღვრიშვილს!
ზეინალ მოდებაძეს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს- პირველი შვილიშვილის გაბედნიერებას!

უმშვენიერეს , თამარ მოდებაძეს და ერეკლე ჩერქეზიშვილს, ვუსურვებთ ღირსეული ოჯახის შექმნას და შვილთა სიმრავლეს ერის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.

ლია კობაიძეს!

26 აგვისტოს 60 წლის სრულდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი, მაღალპროფესიონალი ექიმი-პედიატრი, საუკეთესო მეუღლე, წარმატებული შვილების: ბექა, ბიძინა, ნათია, ნატალი გონაშვილების დედა ქალბატონი ლია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრები დიდი პატივისცემით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს სა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის მიერ სიგელით დაჯილდოებას.

საუკეთესო სურვილებით: ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, მარინა ხარაშვილი, მარინა ღვინიაშვილი, დიმიტრი ყოჩიაშვილი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი სუფთა ბინა დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე.

მსურველები დაგვიკავშირდით ტელ. 599 80 37 75 ან 595 80 37 75 იკითხეთ ნინო და საბა.

საკერავი მანქანა რუსული წარმოების -2 ცალი, სიმინდის დასაშუში აპარატი, კომპიუტერი, ტელევიზორი პატარა „იუნოსტი“, ფერადი ქსეროქსი, საუთოებელი (უთო) მაგიდაზე დასადგმელი. შეღავათიან ფასებში.

ტელეფონი 5-55-56-78-77

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.08		სამშაბათი 24.08		ოთხშაბათი 25.08		ხუთშაბათი 26.08		პარასკევი 27.08		შაბათი 28.08		კვირა 29.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	32 °	22 °	31°	22 °	31 °	20 °	31 °	21 °	33 °	21°	34 °	22 °	33 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.